

ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების მიწოდების სტანდარტული სააბონენტო ხელშეკრულება  
(ფიზიკური პირი აბონენტებისთვის)

ხელშეკრულების გაფორმების თარიღი -----

აბონენტის სახელი, გვარი -----

პირადი ნომერი -----

ფაქტობრივი (სერვისის მონაცემის) მისამართი -----

საკონტაქტო ელ.ფოსტა -----

საკონტაქტო სატ. ნომერი (ადგილობ./მობილური) -----

პერსონალური კოდი იგზავნება მითითებულ საკ.მობილურ ნომერზე სმს-ით

ხელმოწერაზე უფლებამოსილი მესამე პირი ----- პირადი N -----

აბონენტის მიერ შერჩეული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახე/ები (მოინიშნება შესაბამის გრაფაში/ებში):

DSL ტექნოლოგიით მიწოდებული მომსახურებები	ოპტიკური-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით მიწოდებული მომსახურებები	სხვა ტექნოლოგიებით მიწოდებული მომსახურებები	
ცალკე მდგომი ფიქსირებული სადენიანი ქსელით სატელეფონო მომსახურება	ცალკე მდგომი VOIP სატელეფონო მომსახურება	სილქ LTE 4G სახლისთვის (უსადენო ინტერნეტ მომსახურება)	
ცალკე მდგომი DSL ინტერნეტ მომსახურება	ცალკე მდგომი ოპტიკური ინტერნეტ მომსახურება	სილქნეტის თანამგზავრული ტრანზიტული მაუნციებლობის მომსახურება <b>სილქსატი</b>	
ცალკე მდგომი DSL ინტერნეტ (რადიო სარელეო ხაზით) მომსახურება	ცალკე მდგომი ოპტიკური სილქ ტვ მომსახურება		
ცალკე მდგომი DSL სილქ ტვ მომსახურება	ოპტიკური ორმაგი შეთავაზება (ინტერნეტი + სილქ ტვ)	LTE 4.5G უსადენო ინტერნეტ მომსახურება	
DSL სამმაგი შეთავაზება (ტელეფონი + ინტერნეტი + სილქ ტვ)	ოპტიკური ორმაგი შეთავაზება (ინტერნეტი + მარ ტივი TV)		
ერთიანი ინსტალაციის ფარგლებში სამი მომსახურება (ფიქსირებული სადენიანი ქსელით სატელეფონო მომსახურება + DSL ინტერნეტი + DSL სილქ ტვ)	ერთიანი ინსტალაციის ფარგლებში სამი მომსახურება (VOIP სატელეფონო მომსახურება + ოპტიკური ინტერნეტი + ოპტიკური სილქ ტვ)	სილქნეტის ციფრული (სატელევიზიო სინგალის მიმღები ანტენით) სატელევიზიო მომსახურება	
ქსელის რეორგანიზაცია	შეთავაზება „სილქ +1“	დაზიანება	
მომსახურება WiFi მონყობილობაზე	შეთავაზება „სილქ +2 “	მონყობილობის ცვლილება	

წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აბონენტი ადასტურებს, რომ ეთანხმება ამავე ხელშეკრულების ორივე გვერდზე მოცემულ მონაცემებს და პირობებს.

სს „სილქნეტი“

აბონენტი

----- (ხელმოწერის ადგილი)

----- (ხელმოწერის ადგილი)

## მხარეთა განცხადებები, განმარტებები და გარანტიები

- სააბონენტო ხელშეკრულება იდება სს „სილქნეტს“ (შემდგომში „კომპანია“) და აბონენტს შორის. სააბონენტო ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ხელმოწერილი პირი ადასტურებს, რომ მას გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის სრული უფლებამოსილება და რომ მას მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა თუ ნებართვა, რომელიც აუცილებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული და მის მიერ ფიზიკური პირის სახელით შერჩეული მომსახურებ(ებ)ის ამავე პირის სახელზე დასარეგისტრირებლად (გასაფორმებლად). შენიშვნა: შესაძლოა პირზე უფლებამოსილების მინიჭება ხელმოწერაზე განისაზღვრება განაცხადის თაობაზე განხორციელებული სატელეფონო ჩანაწერით, რომელიც ინახება სააბონენტო ხელშეკრულებასთან ერთად.
- აბონენტი წინამდებარე ხელშეკრულებაზე (თავსართზე) ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაცნო სააბონენტო ხელშეკრულების ძირითად წესებსა და პირობებს (დანართი N2), ასევე თანდართული (შერჩეული ან/და შეთავაზებული) მომსახურებების სააბონენტო პაკეტების სატარიფო გეგმებს (დანართი N1), მიღება-ჩაბარების აქტებს (დანართი N3) და აქციების დანართებს (ასეთის არსებობისას), ეთანხმება და ელექტრონულად ადასტურებს აღნიშნულ სააბონენტო დოკუმენტაციას ინსტალაციისას კომპანიის სააბონენტო ბმულზე: **CONTRACTS.SILKNET.COM** საკონტაქტო ნომრით („სახელი“) და ამავე საკონტაქტო ნომრზე სმს შეტყობინების გზით მიღებული „ერთჯერადი კოდის“ საშუალებით შესვლით და შესაბამის დილაკზე „დადასტურება“ დაჭერით, ასევე იღებს ყველა პირობას, რასაც ადასტურებს ხელმოწერით/ „ერთჯერადი კოდით“; ხელმოწერა/ „ერთჯერადი კოდით“ დასტური არის სააბონენტო ხელშეკრულების სრულად გაცნობისა და მასში მოცემულ ყველა პირობაზე დათანხმების იდენტიფიცირებული დადასტურება.
- აბონენტსა და კომპანიას შორის დადებული სააბონენტო ხელშეკრულება დანართებთან ერთად, დასკანრებული ასლის/ების სახით ხელმისაწვდომი იქნება კომპანიის სააბონენტო ბმულზე: **CONTRACTS.SILKNET.COM**; იმისთვის, რომ აბონენტმა შეძლოს ხელმოწერილი/ დადასტურებული სააბონენტო ხელშეკრულების/დანართების დათვალისწინება/ჩამოტვირთვა, უნდა გაიაროს ავტორიზაცია სააბონენტო ხელშეკრულებაში დაფიქსირებული საკონტაქტო ნომრით („სახელი“), სადაც, ყოველ ჯერზე, იმავე საკონტაქტო ნომრზე სმს შეტყობინების გზით მიიღებს ერთჯერად კოდს („პაროლი“).
- აბონენტის მოთხოვნის შემთხვევაში, მას გადაეცემა სააბონენტო ხელშეკრულება ბეჭდური სახით.
- მხარეები თანხმდებიან, რომ აბონენტისთვის სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურების დამატების თაობაზე გარიგების დადება შესაძლებელია დისტანციურად, აბონენტის ნების გამოვლენის სააბონენტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მეთოდით („პერსონალური კოდი“/ „ერთჯერადი კოდი“/ „პინ კოდი“ ან სხვ.) დადასტურების საფუძველზე, ასევე თანხმობა განაცხადოს „ერთჯერადი კოდით“ ელექტრონული დასტურის სახით, რომლის/ების დასკანრებული ასლი/ები ყოველ ჯერზე განთავსდება კომპანიის სააბონენტო ბმულზე: **CONTRACTS.SILKNET.COM**.
- მხარეები თანხმდებიან, რომ „აბონენტის „პერსონალური კოდი“/„ერთჯერადი კოდი“/„პინ კოდი“ წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომლის გადაცემა-დაცვაზეც პასუხისმგებელია „აბონენტი“. შესაბამისად, „აბონენტის პერსონალური კოდის“/„ერთჯერადი კოდის“/„პინ კოდის“ საშუალებით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ითვლება „აბონენტის“ მიერ განხორციელებულად და ამგვარი ქმედების ნებისმიერ შედეგებზე, სრულად და ერთპიროვნულად პასუხისმგებელია „აბონენტი“.
- სააბონენტო ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით და სააბონენტო ხელშეკრულების მოქმედება ვრცელდება და სავალდებულოა შესასრულებლად მხარეებისთვის და მხარეთა უფლებამონაცვლელებისთვის;
- აბონენტს უფლება არა აქვს კომპანიის წინასწარი თანხმობის გარეშე მესამე პირს გადასცეს ან გადააბაროს მასზე ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება (გარდა აბონენტის მიერ მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულებისა); კომპანიის წინასწარი თანხმობის გარეშე აბონენტის მიერ ამ მიზნით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა კანონმდებლობით ცალსახად განსაზღვრული შემთხვევებისა. აღნიშნული არ გამოიცხადება კომპანიის უფლებასა და შესაძლებლობას, მიუხედავად მისი წინასწარი თანხმობის არ არსებობისა, მიიღოს მესამე პირისაგან ვალდებულების შესრულება; ამ შემთხვევაში, აბონენტის თანხმობა შესრულებული ვალდებულების მიღებაზე კომპანიას არ მოეთხოვება;
- მხარეები ადასტურებენ, რომ სააბონენტო ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე;
- აბონენტი ადასტურებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი პერსონალური მონაცემები, მათ შორის, საკონტაქტო ინფორმაცია სწორი და ნამდვილია; აბონენტი ვალდებულია იღებს დაუყოვნებლივ აცნობოს კომპანიას პერსონალური მონაცემების, მათ შორის, საკონტაქტო ინფორმაციის, ცვლილების შესახებ კომპანიის სატელეფონო ცხელ ხაზზე: 2 100 100 დარეკვით ან სერვის-ცენტრში წერილობითი განაცხადის შეტანის გზით; წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანია იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას აბონენტისთვის კომპანიისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე გაგზავნილი შეტყობინების არ/ვერ გაცნობის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი სახის შესაძლო ზიანსა თუ ზარალზე;
- აბონენტისთვის სატელეკომუნიკაციო მომსახურების ინსტალაციისთვის განკუთვნილი ძირითადი და დამხმარე ტიპის ტექნიკური საშუალებების გადაცემა ხდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, აბონენტის დროებით სარგებლობაში, თუ ამ ხელშეკრულების შესაბამისი დანართით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- შესაბამისი სატელეკომუნიკაციო მომსახურების მისაწოდებლად გამოყენებადი ნუმერაციის რესურსი, აბონენტს გადაეცემა დროებით სარგებლობაში;
- სატელევიზიო პაკეტების შემადგენლობა შეიძლება შეიცვალოს (დაემატოს, გაითიშოს ან ჩანაცვლდეს არხები) ნებისმიერ დროს, სხვა დანარჩენი პირობების შეცვლით ან უცვლელად (კომპანიის გადაწყვეტილებით), რის თაობაზეც აბონენტს წინასწარ ეცნობება სილქ TV-ის საშუალებით (ეკრანზე ამონათებით) ან/და სმს შეტყობინებით, 30 კალენდარული დღით ადრე (აღნიშნული 30 დღიანი ვადა არ ვრცელდება ფასის უცვლელად არხების დამატებზე);
- აბონენტი თანხმობას აძლევს კომპანიას, განახორციელოს მის (აბონენტის) შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების დამუშავება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, რაც გულისხმობს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არა ავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, კერძოდ, შეგროვებას, ჩანერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აუდიოჩანერას, ვიდეოჩანერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას ან გამჟღავნებას მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფებას ან კომბინაციას, დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას. ასევე გამოიყენოს დამუშავებული მონაცემები პირდაპირი მარკეტინგული მიზნებისათვის, ასევე მესამე პირების მარკეტინგული, სარეკლამო, ინფორმაციული ან სხვა კომერციული დანიშნულების მქონე ინფორმაციის მიწოდების მიზნით - როგორც „კომპანიის“, ისე მესამე პირთა სასარგებლოდ.
- წინამდებარე სააბონენტო ხელშეკრულების განახლებული ნიმუში - ძირითადი წესები და პირობები, სატარიფო დანართები, აქციები, ასევე ძირითადი და დამატებითი მომსახურების სახეები, ტარიფები, მომსახურების შეზღუდვის/აღდგენის/შენწყვეტის/დროებით შეჩერების და სხვა წესები დამატებით ხელმისაწვდომია „კომპანიის“ ვებ-გვერდზე: [WWW.SILKNET.COM](http://WWW.SILKNET.COM) ან/და სატელეფონო ცხელ ხაზზე: 2 100 100.